



მათრასი

და სალაშქრო

№ 13

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



„მაშინისტი“. ეი ბიჭო! სიღნაღზე საიდან უნდა აიაროს კაცმა? გლეხი. აი ბატონო, აქეთ სოფლებზე მიდის გზა.
„მაშინისტი“. რას ამბობ კაცო! გიჟი ვარ სოფლებზე ვიარო!

კახეთის ბედი.

რკინის გზა მოდის შენკენა,
ოჰ ბედნიერო კახეთო!
ნუ იტყვი: „ოცი წელია
გვპირდებით ველარ ვნახეთო“.
უკვე გადაწყდა, მზათ არის
დახატულია პლანიო,
(მერწმუნე ეჭვი ამ უამად
არ არის მოსატანიო).
სამგორის მინდვრით მოგოგავს
იორის წყალის პირათო.

წინ ბედაურნი უბიან
ქიზიყის გასაკვრათო.
არ ეკარება სოფლებსა,
რო არ გაუხდეს ქირათო:
ხარი და ძროხა გასწყვიტოს
ნახე დაუსევას ძვირათა;
სჯობს ჩალოანში იაროს
კურდღლების დასაქირათო.
(ამ ადგილებში აკურდღლები“
ბუღობენ ერთობ ხშირათო!)
წყალსა და თივას იშოვის
შეშასაც თავ-საყრელათო,

(სხვა რა ექნება ორთქლ-მაგალ ბედღურთ სადარდელათო!)
 მიტომ სტოვებენ სოფლებსა,
 მიჰქრიან მინდორ-ველათო,
 რომ სოფლის ბარგი-ბარხანა
 არ მოსდვან სათრეველათო,
 რომ არ დასტვირთონ რუმბებით,
 ხე-ტყე გაუწყონ გრძელათო,
 ხალხიც დაასხდეს მრავალი
 გრძელი გზის გასავლელათო.
 ის არ სჯობია სწორ გზაზე
 „პრინციების“ მინდორ-მცველათო
 ინაფარდ-იკოტრიალოს
 ლაღათ და უღარდელათო?
 სოფლათ რკინის გზის გაყვანა,
 თავში მოუვა ხელსაო,
 ომნიბუსებთან ქიშპობა
 მას როგორ მისცემს ხელსაო.
 დელეენები და ურმები
 ხომ სულ მოსწყვეტენ წელსაო,
 (ოც-ოცი კაცი დაუღის
 აფარა გარეჯელსაო!)
 მაშ გიხაროდეს ქიჩიყო,
 ნეტავ შენს მინდორ-ველსაო!
 მალე იხილავ საზღაპრო
 ცეცხლის თავიან გველსაო.

—კი.

ეშვასის ინტერვიუ:

ქ-ნ სოფიო რომანიშვილთან.

სახალხო წარმოდგენების სექციამ კარგა ხანია მიიპყრო ჩემი ყურადღება. მაშინაც, როცა მისი საქმე სასურველათ მიდიოდა და დღესაც, როცა „მონასტერი აირია“ შე ერთნაირის ხალხით ვეკიდები სახალხო წარმოდგენების მმართველთა საქმეს. ამიტომაც ვაგებდე და ვეახლე ქ-ნ ს. რომანიშვილს, როგორც სექციის ვითარებათა „საუკეთესო“ მკოდნეს. ღმერთმა ააშენოს, არც მან დაიშურა თავისი ცოდნა და შეძლება მომცა საკითხს ჯეროვანად გავსცნობოდი.

— ძლიერ აკრილდა ამ ბოლო დროს ქალაქ თფილისში! დავიწყე ჩვეულებრივი სალამის შეძღვე. მოგეხსენებათ როგორ ძნელია პირდაპირ საქმეზე ლაპარაკის დაწყება!

— სწორეთ საუბოვო დარბია.

— საზოგადოთ, შემოდგომაზე უფრო გრილა, ვიდრე ზაფხულში, დავსძინე მე.

— დიახ, ეგრეა დაცდლი.

— წარმოდგენებს ალბათ ადრე დაიწყებს თქვენი სექცია?

— ვინ იცის, ჯერ შინაგანი საქმეები ვერ მოგვიგვარებია.

— რა ამბავია? ნუ თუ იქაც უთანხმოებამ იჩინა თავი?

— იჩინა და ეგრე! ჩვენ არაფერს ვატყვიოთ. იმედი გვაქვს ჩვენ მაგიერ მუშა ხალხი აღიმაღლებს თავის ხმას.

— ვინ არია საქმე? არ შეიძლება მაცნობოთ?

— ჩვენ არ გვინდა ვილაპარაკოთ, ჩვენ მაგიერ მუშა-ხალხი იტყვის.

— ძლიერ მადლობელი კი ვიქნებოდი, ვიდრე მუშები აღიმაღლებენ ხმას, თქვენც გეთქვათ ცოტა რამ.

— მე რა უნდა ვთქვა, აბა რა უნდა გითხრათ. სულ ამ რეორგანიზაციის საქმე აგვრია.

— ძლიერ სასიამოვნოა, ძლიერ სასიამოვნოა. ალბათ თქვენ ბრძანდებით ინიციატორი რეორგანიზაციისა.

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ? ჩვენ ყოველივე ღონეს ვხმარობდით ეს საქმე თავიდან აგვეშორებია. ერთხელ მარია ივანოვნამ კრებაც კი დახურა დემონსტრაციულათ, რომ ეს საკითხი ჩაეფლავებინა.

— საკვირველია ღმერთმანი, რომ ასეთი საყურადღებო ამბები პრესის ყურაძდე ვერ აღწევს.

— როგორ, რასა ბრძანებთ, ჩვენ არა თუ პრესას, სექციის სხვა წევრებსაც ვუმაღავდით. სვირელი, ტოროშელიძე და მე საიდუმლოთ ვმსჯელობდით ამ საქმეზე. ერთ მშვენიერ დღეს მარია ივანოვნამაც კი შემიტყო და მითხრა: შე კუდიანო, მგონი რაღაცას საიდუმლოთ გეჩურჩულებიან და მე კი არაფერს მეუბნებიო.

— მეჩემ რა იყო აქ დასამალავი? რეორგანიზაცია რა ურიგო საქმეა?

— რეორგანიზაცია არის და რეორგანიზაცია! მაგათ მარია ივანოვნას გადაყენება უნდოდათ. წარმოიდგინეთ ერთ კრებაზე აშკარათ განაცხადეს: „ვინც ამ საქმეში მეტათა და გამოუსადეგრათ გრძნობს თავს თითონვე გაანებოს თავიო“.

— ეს თავისი პირით თქვეს იმ არამზადებმა?

— დიახ, საჯარო კრებაზე.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

— ისინი სულ ასე სდევნიან უმუშევრებს. მე სულაც არ მინდოდა ლაპარაკი, რადგან იმედი მაქვს ჩვენს მაგიერ მუშა ხალხი აღიმაღლებს ხმას.

— მეჩემ რით გათავდა საქმე?

— რითი და მუშათა მღელვარება იმ ზომამზე

მივიდა რომ სამივე გამოირცხა სექციის წევრობიდან.

— ვინ სამივე? მარია ივანოვნაც?

— რასა ბრძანებთ! ვაიშე, ვაიშე! მარია დემურის რას ვერჩოდით. ჩვენ სვირელი, ტორაშელიძე და გოცირიძე გამოვრიცხეთ. რას იზამ, ასეთია მუშათა ხალხის სურვილი.

— ჩინებულაია, სწორეთ ჩინებული. ისინი იძახოდენ უვარგისები გავიდნო და თქვენ ვარგებულნი გაგიყრით.

— ჩვენ თითონ მუშა ხალხი ვართო, ჩვენ არავისი გარიცხვა არ გვაშინებსო.

— მოსაწონია თქვენმა მზემ. ერთობ მოსაწონი. სახალხო წარმოდგენებს მართლა ეს სამი კაცი აბოგინებდა და ახლა ყველაფერი გასწორდება.

— გულს გავიდენ ბატონო, აქაო და არაფერს აკეთებთ მიატოვეთ სექცია და გადითო. ახლა იქნება აღარ ვაკეთებთ, მაგრამ უწინ ხომ ვაკეთებდით?

— რასა ბრძანებთ, თქვე დალოცვილო, კაცსა კი არა რომაელებმა ბატებს დაუფასეს ღვაწლი და მამულის ერთგულება.

— ჩვენი გულშემატკივრობა თითქმის აღარაფერი იყოს, მაგრამ იმედია მუშა ხალხი აღიმაღლებს ხმას ჩვენ მაგიერ.

— არა ყველაზე უკეთესი ის ვიქნით, რომ გოცირიძეც მიგიყოლებათ. ვერ წარმოიდგენთ როგორ სძულს ხალხს. უიმისოთ საქმე რაღა თქმა უნდა ათას წილათ გაუმჯობესდება.

— თქვენ, ბატონო ეშმაკო, ეგონებ დაგვცინით! განა ჩვენ კი არ ვიცით, რომ სამივე გამოირცხული პირი ერთგული მუშაკი იყო, მაგრამ რას ვიზამდით, როცა მუშათა ხალხს ერეკებოდენ სახალხო თეატრიდან და უმუშევრებსაც არ აყენებდენ სექციაში. თვით მუშათა ხალხმა გამოირცხა ისინი და ახლაც ჩვენ მაგიერ იგივე მუშათა ხალხი აღიმაღლებს ხმას.

— გამოსაცნობი გერგებათ, გამოსაცნობი!

— რა იქნება მაშინ თუ ყველა დაწესებულებიდან გულ-შემატკივრები განვდევნეთ, აქაოდა არაფერს აკეთებთო. განა ეს მოსათმენია? არა და ათასჯერ არა. ამას არც მუშათა ხალხი მიათმენს, ის უთუოდ აღიმაღლებს ხმას ჩვენს მაგიერათ.

— მიკვირს თქვენ რაღა მუშათა ხალხის მფარველობა გინდათ, როცა უკვე გამარჯვება მოგივათ.

— ჯერ ვინ იცის!


— როგორ თუ ვინ იცის, აკი გამოვირიცხავეთ ვისაც საქმის უნარიცქვანდნო იყოთოთ დიგ

— კი მაგრამ ახლა ვნახოთ მუშათა ხალხი რას იტყვის. ჩვენ იმედი გვაქვს ისინი აღიმაღლებენ ხმას ჩვენს სასარგებლოთ.

— ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა. ახლა მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ჩვენ არაფერს ვიტყვი ამ საგანზე, რადგან მუშათა ხალხის მოვალეობა.....

ეშმაკი.



პეტრია გულსვაჰაჰი VIII.

კვირა დღეა. ამბობენ, რომ „ნარიანში“ მოდის ჯარი. ალბათ მწარე განსაცდელსა ვლის ვილაკის სახლ-კარი.

ანგარიშის სწორებაა „მეთაურებს“ დაეძებენ: ვინც სახლში არ აღმოჩნდება. მათ სახლ-კარს ცეცხლს უერთებენ.

უკვე ბევრი სხვა სოფელი მოიარა ამ ამბავმა, არემარე სულ დაჰფარა ნაცარმა და კვამლმა შავმა.

ჯერი მიდგა „ნარიანზე“... ჩუ! მოისმა შორით მღერა, უცხო ჰანგის გაგონებამ გული მწარეთ ააძგერა.

არიან კი ისეთებიც, ვისაც გული დაუამდა, წელში მოხრილ-მოკაკული, ამ ხმის მსმენი, გათამამდა.

ხალხი, როგორც ქორწილის დღეს, გამოეწყო, მოიკაზმა, და მომავალთ შესახებდრათ დაეწყო და დანარაზმა. (სტი პროვოკოტ, ამნიმიფი)

ყველაზე წინ გულსვაძე
სდგას და უცემს ტაბილათ გული,
ჯვარმენდლები დაუფერავს,
გულ მკერდზე აქვს ჩარაზმული.

პირმცინარობს, რადგან გულში
განზრახვა აქვს ერთობ მწყობრი,
სახლში უკვე მზადება:
ჩააცივებს დიდი კობრი,

ოთხი ბეჭი იხარშება,
ხუთი დიდი ინდაური,
ღვინო სხვაგან შეიძინა,
არ უვარგა შინაური.

ქათმებსა და წვრილ-წვრილ რამეს
ხომ არა აქვს სათვალავი!..
ლხინი უნდა გაღიხადოს,
საკვირველი სანახავი.

ხალხმაც ესდენ გულუბრყვილომ
მას ეგ საქმე დაავალა,
ეგონა, რომ ამით ოდნავ
მოღბებოდა „მკაცრი ძალა“...

პეტრიას კი ეს შემთხვევა
სურს, სხვა გვარად მოიხმაროს,
რომ სოფელი მის წინაშე
შემდეგ უფრო მოიხაროს...

და მოსული „კრებაც“ პეტრემ
თავის სახლში მიჰპატივს:
აქეფა სალამოდის,
ღვინით ძალზე გამოჰპრიყა,

შემდეგ უფროსთ წინ დაუდვა
გეგმა სოფლად მუშაობის:
ვის დაწვა ხედეს, ვის-გავზაენა,
ვინ-ღირსია ჩამოხრჩობის.

სხვა და სხვა გვარს დანაშაულს
ის მიაწერს გოგიტელას,
ასე, რომ თუ ის ხელთ იგდეს,
ვერ ასცდება სახრჩობელას...

IX.

აგერ ორს წელს გასცილდა, რაც
ციხეში ზის გოგიტელა,
რადგან ოქმში ჩამოთვლილნი
ვერ შეიპყრეს ჯერაც ყველა.

ბოლოს საქმის გარჩევის დღეც
დაინიშნა, როგორც იყო,

(ვინც ტყვეული არ აღმოჩნდა,
მათი საქმე განოიყო).

დანიშნული დღეც მოვიდა;
სამსჯავროში საქმეს ჰქექენ
ნიშანს აძლევს თავმჯდომარე
და სამსჯავროს კარებს ჰკეტენ.

მთელ კვირასაც არ მოსრულდა
ამ საქმეზე ბკობა, დავა,
თვისი სიტყვა ბრალმდებელმა
ერთს დღეს ძლივს-ლა დაათავა.

მეორე დღეს, შვალამისას,
გამოცხადდა განაჩენი,
რითაც ხალხი, მოგროვილი,
დარჩა მეტად გულ ნატყენი.

ოცდაერთი ბრალდებული
დაისაჯა მკაცრათ ყველა,
საუკუნო კატორღაში
გაიგზაენა გოგიტელა.

იქვე იღვა სოფრომაიც
ეს ამბავი რომ შეიტყო,
დაიყვირა: „ვი, შეილო!“...
და თავპირის მტერევა იწყო.

აღრილდა, როგორც მხეცი,
ხმა გამოსცა არე-მარემ...
გაიყვანეთ ეხლავ გარეთ!“...
მკაცრათ ბრძანა თავმჯდომარემ.

და სოფრომაც გაიყვანეს...
თუმც მისი ხმა იკაც ჰქუხდა,
ხალხში, ამ სურათის მნახველს,
ბევრს გულიც კი შეუწუხდა...

X.

უქმე დღეა. ხალხი ბლომათ
არის სოფლის დუქანზედა,
„თვალს წყალს ასმევს“ თანაც მსჯელობს
ის სხვა და სხვა საგანზედა...

„დღესა მოდის „ნარიანში“
სამსაჯულოს ბოქაული,
ვალში უნდა გაყიდონო
სოფრომასი კურმამული.

პეტრე არის მოვალეთო,
ოცდა ორი თუმნის „ლისტი“
მას ჯიბეში ჩაუდვია,
ვით ობოლი მარგალიტი“..

შვა დღე არის, ხალხი შეკრბა,
წინ წამოდგა ბოქაული,
ყელზე ჯაჭვი გადაუცვამს,
ვით ძვირფასი სამკაული.

— „აბა, ვის გსურს, რომ ივაქრო,“
იმან მსმენელთ განუცხადა
და მსურველთა სახელ-გვარებს
საქმის წიგნში აღნიშნავდა.

გამოვიდა ერთი, სამი...
ამათ პეტრეც მიემატა,
და საჯარო მყის ვაქრობაც
გაიჩარხა, გაიშარათა:

„ათად-ჩემი,“ — „თერთმეტად-მე.“
— „მე-თორმეტად!“ — „ვაძლევ-ცამეტს!..“
თითობით ფასსა სწევენ,
პეტრე იტყვის ყველაზე მეტს;

ბოლოს სიტყვაც ამას დარჩა,
ზედ სხვამ მეტი არ დასძინა,
და სოფრომას ქურ მამულიც
პეტრემ „ტორღში“ დაირჩინა...

* *

სოფლის ბოლოს ტყისაპირად,
თხემლის წყნელით ჩახლართული,
მორცხვათა სდგას ერთი ფაცხა
ჩაღა-ისლით დახურული.

ამ ფაცხაში შეხიზნულა
სოფრომა თვის ჯალაბობით,
და თავს ირჩენს საცოდავი
დღეს სოფელში მათხოვრობით.

მხარზე ხურჯინ გადაგდებულს,
დიდი ყავარჯენით ხელში,
მოხუცებულ მათხოვარსა
ხშირად ნახავთ თქვენ სოფელში.


ასე მწარეთ დაიჩაგრა
გოგიტელას კვიდრი მამა,
მას პეტრია გულსვაფაძემ
სიბერის დღე ჩააშხამა.

პეტრიამ კი თავის ეზო
ერთი-ორად გაადიდა,
სახლში კედელს მან ახალი
ხალიჩაც კი მიაკიდა.

სხვა მამული, სხვა სიმდიდრე
იმან ბევრი შეიძინა,
და დიდრონი ქოფაკები
ეზოს მცველად მიუჩინა...

ასეთია დროთა ბრუნვა,
ასეთია ბედის ძალა,
ასეთია დღეს „პეტრია“,
აგი სოფლის „მაჩანჩალა“!...

ნ. ზომლეთელი.



კომისიაში.

(სახუმარო სცენა)

მშენებრთა მართულ დარბაზში, მწვანე ხა-
ვერდით დაფენილ გრძელ სტოლს ხუთი ხნიერი კა-
ცი უზის. ერთი მათგანი, უფრო მსხვილი და ქა-
ლარა შერთული თავმჯდომარის შთაბეჭდილებას ახ-
დენს. წვრილი და ცხიპიანი ახლად შექალაქებუ-
ლი მისი მეზობელი, ალბათ მდივანი კრებისა, სა-
წერ-კალამით აღჭურვილი, მარცხენა ხელს დაყრდ-
ნობია და მარჯვენაში მომზადებული კალამი ქა-
ლადლის თავზე დაუბჯენია. ერთი შუა ხნის მოღვა-
წე, მარჯვენა ხელით წინ დალაგებულ კონვერტებს
დასწოლია და თითქო რაღაცას ელის. დანარჩენი
ორი შევევრემანი დამსწრე სავარძელზე გადაწოლი-
ლა და რაღაცაზე ღრმით ჩაფიქრებულან.

ეს გახლავთ ქართველ ქველ-მოქმედი ივანე ზურ-
მუხტაძის სტიპენდიათა გამანაწილებელი კომისია.

I.

ხოსო. (თავმჯდომარე) შევედგეთ საქმეს ბა-
ტონებო!

გასო. (მდივანი) დიხ, აჩქარება გვჭირია, თო-
რემ ერთ კვირზე თავს ვერ გავართმევთ ამდენ
თხოვნებს.

სასო. (წვერი კომისიისა). წარმოიდგინეთ,
ცხრა თავისუფალი ადგილი გვაქვს და ცხრაას ორ-
მოცდა შეიდი თხოვნაა!

ბესო. (წვერი კომისიისა) ახირებულა სწო-
რეთ? ნუ თუ ამდენი სტუდენტობა გვყავს?

სასა. (წვერი კომისიისა) ყველა ქართველ-
ბი რო იყვენ, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყევდა.

გასა. რა დროს ყვეფა ბატონებო, დროა სა-
ქმეს შევუდგეთ.

ბესა. უკაცრავათ ბრძანდებით, ჩვენ აქ არა
ვეყფთ, ჩვენ საქმეზე მოვსულვართ.

სასა. ეს მე შემეხებოდა, ბ-ნი ბესო, გთხოვთ
ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

ხასა. კმარა ბატონებო, დროა საქმეს შე-
ვუდგეთ.

სასა. დროა სწორეთ დროა.

გასა. ჩვენ სულ ასე გვქირს; ჯერ ერთი ორი
საათი უნდა ტყვილა უბრალოთ ვილაყბოთ, შემ-
დეგ დაიწყოებთ და საქმე ამგვარათ გამოურკვეველი
დაგვრჩება.

ბესა. ბ-ნი ვასო, თქვენ არა პარლამენტარუ-
ლათ მსჯელობთ; ჯერ იყო და ყვეფა მოგვახვიეთ
თავზე, ახლა ამდგარხართ და ლაყბობას გვწამებთ...

ხასა. ბატონებო დაიწყეთ თხოვნათა განრ-
ჩევა, დაიწყეთ თორემ...

ბესა. რასაკვირველია უნდა დაიწყეთ, თო-
რემ...

გასა. თორემ... თორემ... თორემ ისა რომ
ამდენ თხოვნას ერთ წელიწადს ვერ გადავიკითხავთ.

სასა. დაიწყეთ, ბ-ნებო, დაიწყეთ.

ხასა. დაიწყეთ კითხვა. მიართვით ბესოს
თვითელ-თვითელად.

ბესა. უმჯობესია სისომ წაიკითხოს, მე სა-
თვალეები სახლში დამჩნა.

სასა. რაღა სისო მოსძებნეთ, განა ბ-ნი სო-
სო ვერ წაიკითხავს. მე ქართულ მხედრულს კარ-
გათ ვერ ვარჩევ.

სასა. მე ბატონებო, ხელნაწერის კითხვა
ძლიერაც არ მჯებრება. ნაბეჭდი კიდევ ჰო, მაგ-
რამ ხელ ნაწერი შეუძლებელია.

ხასა. მაშ ვასოს გადაეცით. საკვირველია
ღმერთმანი!

გასა. უმჯობესია თქვენ თითონ წაიკითხოთ,
როგორც თავმჯდომარემ.

ხასა. აბა მე საიდან გავარკვევ ამ წვრილ
ანბნეულობას!

სასა, ბესა და ხასა. გთხოვთ ბატონო ვა-
სო, დაგვაყვალეთ!

ხასა. გთხოვთ, გთხოვთ!...

გასა. რა გაეწყობა, მაშ სმენა იყოს. (იღებს
თხოვნას და კითხულობს:)

„მათ ბრწყინვალეებას, ი. ზურმუხტაძის
სტიპენდიათა განმანაწილებელ კომისიას
მოსკოვის ბუნების სამეტყველო კურსე-
ბის კურსისტის ლილოჩკა სარკიძის.

თ ხ რ უ ნ ა.

უმორჩილესათ ვარ მოხოვნელი მიხედოთ ჩემს მამას
განუხომელ ჰირ-ვარამს და აღმოაჩინოთ დახმარება გა-
მიწოთ, რომ შეძლება მომეცეს დაწყებული საქმის გა-
თავება შემეძლოს.

ლილოჩკა სარკიძე მოხოვნელი.

რას იტყვი ბატონებო?

ხასა. ჩემის აზრით მოხოვნელი ქალი წმინდა
ქართულს ვერ დაპარაკობს, აი თუნდ მაგალითის-
თვის სწერს: „გამანაწილებელს“, ნაცვლად „განმა-
ნაწილებელისა. დაუსვით მინუსი!

სასა. ჩემის მოსაზრებითაც ჯერ ბევრი რამ
უნდა გამოირკვეს.

სასა. გადასდეთ ბატონებო, ახლა სხვა წა-
ვიკითხოთ. თუ თითოეულ თხოვნაზე ამდენი ვიძს-
ჯელეთ აბა როდის უნდა მოვრჩეთ?

ბესა. დიხ საქიროა განვაგრძოთ.

გასა. (კითხულობს)

„ივ. ზურმუხტაძის წერა-კითხვის შორის
გამავრცელებელ სტიპენდიათა კომისიას

თ ხ რ ვ ნ ა.

პატივცემულ დაწესებულებაზე. უმორჩილესათ გთხოვ
აღმოაჩინო ჩემს გატირებულს უიმედობაში დახმარება
და მით წამომაყენოთ წელში რომ გავასრულო ჩემი
ოცნება და გავათავო დანაწყები საქმეები. ამას მოქმე-
დებს სწავლის წყურვილის მოთხოვნილება, რომელიც
უზომოა ჩემში. სრულის იმედი მაქ არ დავარჩები „ხმათ
მდა აღებელისა უდაბურსაშინათ“.

სრულის იმედებით მოხოვნელი სოფ. ქინძიანში
მცხოვრები აზნაური გიორგი ხოხობაძის შვილი იაკინ-
თე. მოსწავლე ადესის უნივერსიტეტისა მედიცინურ ფა-
კულტეტისა.

ხასა. არც აქ არის დაკული მართლ-მეტყვე-
ლება ქართულის ენისა.

სასა. აქ ცხადად ჩანს, რომ მოხოვნელი უკ-
ვე „დ“.ს მაგიერად „თ“ აბოლოვებს სიტყვებსა.

ხასა. არც ის არის აღნიშნული თუ რომელ
ვებდაში იმყოფება სოფელი ქინძიანი.

სასა. ქინძიანი სიღნაღისა უნდა იყოს.

გასა. ქინძიანი თიანეთის მაზრისაა, მაგრამ აქ
რათ დაგქირდათ აღარ მესმის.

ბესა. თიანეთის მაზრაში მავეთი სოფელი სუ-
ლაც არ არსებობს.

გასა. მაშ შეიძლება ბორჩალოში იყოს.

ხასა. ქინძს მხოლოდ იმერეთში ხმარობენ.
ეს მცენარე ქართლ-კახელს და არც ბორჩალოელს
არ უყვარს.

გასა. სამაგიეროთ გვარი რო ხოხობაძეა, ამა-
საც უნდა მიექცეს ყურადღება. ხოხობი იმერეთში
სულაც არა ხარობს.

სასა. ხოხობი სიღნაღის მაზრაში იცის ერ-

თობ ბლომათ. კარგ მონადირეს შეუძლია საათში ორმოცი, ორმოცდა ათი ხობობი მოკლას.

ხასა. ეს ცოტა გადააქარბეთ ბ-ნო სოსო, ორმოც და ათჯერ თოფის დამიზნებასაც ვერ მოასწრებთ.

სასა. მაშ მე ესტყუი? ჩემი მოურავი მეტსაც კლავდა.

ბესა. ცოტა დაუჯერებელს კი ჰგავს, ბ-ნო სოსო; ჩვენც არა ერთხელ და ორხელ გვინადირია თობლიაურის მიდამოებში, მაგრამ საათში სამოცი არას დროს არ მოგვიკლავს. ეგ შეუქლებელია.

ვასა. კმარა ბატონებო, ნადირობაზე კამათი შემდეგისათვის გადავდვათ. ახლა წინ საქვეყნო საქმე გვიძევს.

ხასა. დაუსვით მინუსი. ვიდრე გამოვარკვევდეთ მთხოვნელის ადგილ-მდებარეობას. ახლა განაგრძეთ.

ვასა. ვთხოვთ მეტის ყურადღებით მოეპყრათ. საჭიროა ყოველი პუნქტი რიგზე განისაჯოს, რომ შეცდომაში არ ჩავცვივდეთ.

„სტიპენდიათა გამანაწილებელ პატივცემულ იე. ზურმუხტაძის კომისიას.

სოფ. გუმბრინის მცხოვრებ სტუდენტ ერმილე ფეხიანის უმორჩილესი

თ ხ ი ვ ნ ა.

ბატონებო! ვცხოვროფ ამ იმედით აღჭურვილი, რომელიცა რომ ჩამინერგა თქვენი ქველმოქმედების გრძობათა სურვილმა ჩემს ვულის სიღრმეში. ჩემს სულიერ ფსიხიკურ მოთხოვნილებას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს იმ მოთხოვნილებათა მცირე მოწოდებით, რომელსაც მე ვემსახურებო ჩემს ცხოვრებაში. გარწმუნებთ ჩემზე გაღებული წვლილი უხვათ შეეწირება ჩემი მიმდინარეობის სამსხვერპლოს ჩვენივე საყვარელი სამშობლოს საკეთილბედნიერდღეათ.

სტუდენტი ერმილ ფეხიანი.ა

სასა. ცუდათ დაიწყო, მაგრამ კარგათ გაათავა. ჩემის აზრით საჭიროა პირველ კატეგორიაში ჩაერიცხოთ.

სასა. ჩვენ სომხების მისაცემი სტიპენდიები ღიახაც არა გვაქვს. მე წინააღმდეგი ვარ.

ბესა. მეც თანახმა ვარ წინააღმდეგობისა.

ვასა. როგორ, ბატონებო, საიდან დაასკვნით რომ სომეხი თხოულობს.

სასა. საიდანაც საჭირო იყო. გუმბრი სომხეთის ქალაქია და ფეხიანიც სომხური გვარია.

ვასა. თქვენ სცდებით ბ-ნებო.

ბესა და სასა. დაგვიტკიცეთ რო ვცდებით.

ვასა. ინებეთ. მოგვხსენებათ, რომ გვიმბრა გურული მცენარეა და გუმბრინიც იქაური სოფელი. ხოლო—ფეხი—ქართული აგებულობის ნაწილია.

ხასა. სულ ერთია. ჩვენ სტიპენდიებს ვერ ვერ გადავყრიოთ. დაუსვით მინუსი.

ბესა. განაგრძეთ კითხვა. ვერ ჩვენ მართლა წელს ვერ დავასრულებთ.

ვასა. (კითხულობს)

„ივან ზურმუხტაძის სასტიპენდია სუმი

რასპარიადიტელნი კომისიას.

ხარკოვის უნივერსიტეტის სტუ-

დენტის პეტო ქანჩიელის

თ ხ ი ვ ნ ა

ჩვენი საერთო სამშობლოს კეთილის მყოფელნო, ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ჩემს მცირე თხოვნას და აღმომიჩინოთ მე პოსობიე, რომ ცოდნა-ობრა-ზოვანიეთ აღჭურვილი ფაქელათ მოვეკლინო ჩვენს ბნელით მოკულს საერთო სამშობლოს. მრავალ-ქამიერ იყოს თქვენი დღეგრძელობა.

პეტო ქანჩიელი.ა

ხასა. საუცხოვო სიტყვებია!

სასა. ვაუკაციც საუცხოვოა!

ვასა. განა იცნობთ?

სასა. მე კი არა მთელი ქალაქი და მთელი საქართველო იცნობს, როგორც ერთგულ დამცველს მისი ინტერესებისას.

ვასა. პირველათ მესმის.

ბესა. თქვენი უცოდინარობა თქვენს თავს დააბრალეთ. პეტო ქანჩიელს მთელი საქართველო იცნობს, როგორც მედგარს და გაბედულ დამცველს საერო ინტერესებისა.

ხასა. კილოზედაც ეტყობა კეთილშობილური მიდრეკილება. ნეტავი რომელი ვეზდის მცხოვრებია?

ბესა. წმინდა ქართველია. ვრცელი მამული აქვს გორისა და ღუშეთის მაზრებში.

ხასა. განა ამას, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საქმისათვის, მაგრამ მაინც საჭიროა მთხოვნელთა ვინაობის და ადგილ-მდებარეობის გამორკვევა. მე თანახმა ვარ ამ ყმაწვილს მიეცეს დახმარება.

სასა. ამბობენ პეტო ქანჩიელი სულაც არ არის უნივერსიტეტშიო.

ხასა. ამიტომაც უნდა დავეხმაროთ რომ კეთილ სურვილებთან ერთად სწავლაც მიიღოს და „ჩირაღდნათ მოველინოს ჩვენი ქვეყნის სიბნელეს“.


ბესა. ჩვენი ქვეყნის კი არა, „ჩვენი საერთო სამშობლოს“ სიბნელეს. მასზე დახარჯული ფული ერთი ათად დაგვიბრუნდება.

ხასა. ვინა ხართ თანახმა პეტო ქანჩიელი ოჩერედს გარეშე დავაყენოთ?

ვევლანა: თანახმანი ვართ.

ეშმაკი.

(დასასრული იქნება).



ლამის გავგიჟდე ბედითა კრული,
უკან მომჩხავის წინაპართ სული...

შ ა რ ა დ ა.

მონახეთ მოკლე სახელი,
ჰქვია გრძლათ ანაზარდებსა...
(ადვილი საპოვნელია
გულს ნუ გაატანთ დარდებსა).
ორჯერ ეთქვი; ვინაც ვერ მიხვდა
მას კიდევ ვეცვი ერთხელ და
ახლაც თუ ვეღარ გაიგო,
სჩანს ზემოთ განძი შეთხელდა.
ვინც მიხვდა, ჯერ ხან იმასაც
განსჯა მართებს და ფრთხილობა,
(რამეთუ საქმეს ყოველსა
თვისი აქვს გამოცდილობა.)
ამ სახით ამა სახელის
ჩვენ ხელს არ მოგვეცემს ხმარება,
რისთვისაც მცირე ფიშმანი
კვლავაც ნუ დაგვეზარება.
„წოდებით ბრუნვა“ რო ჰქვია
იქ მიიყვანეთ ძალათა,
(თუ ქართულ ღრამატიკასთან.
საქმე არა გაქვთ მწყარალათა!)
შემდგომ ამისა შარადის
მეორე ნახეთ ნაწილი,
(თუმცა, პირველის არ იყოს
ესეც საქმეა ადვილი).
ნადირის სახელს ამბობენ,
ჯერ ნორჩის, მცირეწლოვანის,
არც მელასავით ცხიერის,
არც მგელებრ ავგულოვანის.

ახლა დასწერეთ ორივე,
როგორც გითხარით იმგვარათ,
და ჰპოვებთ სახელს, თუ ზიზღით
გულზე არ შემოგვეყარათ.
ნიშადურელი ბაცაცარს
საუკეთესო ძმობილი,
შავ-დღეზე „გავგიჟებულადა“
შავი საქმეები ცნობილი.
ჯერ ხანად „დრამებს“ წერავდა
ყიალში გამოწრობილი...
(ორიოდ კიდევ შეხანხლა
უმსგავსოთ გამოცნობილი).
მაგრამ გასქირდა ცხოვრება
ფესზე ფეს გადადობილი
და „პუბლიცისტი“ შეიქნა
(„სანიშადურო“ ხმობილი).
დღეს იქ ზის, სადა ქანქარი
არს უხვად ჩამოწყობილი.
(და ვფიქრობ ესე შარადაც
გექნებათ გამოცნობილი).

კოლო.



„დ უ ნ კ ა“.

(ა. ზუსტინინი; თუისა).

რვა წლისაა დუნკა. ტან-მოორჩილია, ხელ-ხმე-
ლი, ფეხებს ძლივს მიათრავს, როგორც ხელიკი,
თვალეები პატარა აქვს და სწრაფი, — მეტათ სწრაფი.
მაგრამ ხანდისხან დაიქერს თავს, არ იცით,
კოცხალია თუ მკვდარი დუნკა, — დუნკას უშველე-
ბელი სახლი აქვს — ეს ბაზარია. ბაზრის ჰაერი
მისთვის მშობლიურია: სხვა ჰაერი იმან არ იცის.
რამდენიმე ვერსით მოაცილეთ ამ ადგილს და თვალ-
შებვეული უკანვე დააბრუნეთ, — დუნკა იყვნოსავს,
ხელის გულებს ერთმანეთს შემოჰკრავს და იტყვის:
— „ბაზარი! ჩემი საფლავი! ღმერთმანი, ბა-
ზარი!

ბაზრის ყოველს კუთხეს იცნობს, როგორც
საკუთარის ტანისამოსის დაფლეთილ ადგილებს.
დუნკას ბაზრის კორები ძლიერ აინტერესებს და
აღელვებს. ის შეუერთდა უკვე ბაზრულ ცხოვრე-
ბას და ახალ ამბების ზღვაში დასცურავს. ბაზრის
საიღუმლოებას არა თუ ყურს უგდებს, არამედ ისეთი
გამოცდილია, რომ ყველაფერს წინდა-წინ ხედავს.



ვექილი. პატივცემულნო მსაჯულნო! ჩემი კლიენტი ტყუილ უბრალოთ არ შეეხებოდა გლეხკაცს. და თუ მან მართლაც სტაცა წვევრებში ხელი და თუ მან უცაბედი მოქნევით მარალაც მოაგლიჯა წვევრები და თუ მან ამით მწუხარება მიაცენა მას,—ეს მხოლოდ კეთილ სურვილებით, რადგან უნდოდა გლეხისთვის კანონიერება შეეგნებინებინებინა.

თუ უცხო „ბიძა“ უცხოვე „ბიცოლას“ თვალს უქნევს, სჩანს რაღაც ამბავია, იმაზე ლაპარაკი არ შეაძლება. ერთხელ ამისთვის სცემეს ღუნკას. მას შემდეგ მხოლოდ უტკერის და ყურს უგდებს ყველაფერს, ლაპარაკობს მხოლოდ იმაზე, ვინც ბაზრულის ცხოვრებით არ ცხოვრობს. არა-ბაზრულადამიანებში ღუნკა მხოლოდ ძიძა-პრასკუტკასა და ბაბუებს იცნობს, და ყოველნაირი ახალი ამბავი ღუნკასი იმის გარშემო ტრიალებს, თუ რამდენ ორ-შაურჩიანს მოიტანს ეკლესიიდან „ძიძა“ და რომელ „ბაბუასთან“ იქეიფებს.

ღუნკა ბაზარში ყველას იცნობს, იმასაც ყველა იცნობს.

— „ბიცოლა! მომეცი თ ბულკის ნატეხი!“ ეტყვის ის ხანდისხან პირველათ ვინც შემოხვდება იმ მოვარე ქალს თამამად და მშვიდათ, როგორც მშობელ დედას.

„საიდან გამოძვერი შენ? ეშმაკმა წაგიღოს. — „მე?“—ღუნკა უცინის მოვარე ქალს უზრდელობისთვის.—მე ღუნკა ვარ, პრასკუტკას გოგო, იცით პრასკუტკა, გლახაკი! მამა ჩემი დაერდომილია, ფეხები არა აქვს, საცოდაობაა! საცოდაობა!

ღუნკა საქმიანივით—სერიოზულად აქნევს თავს და სასოწარკვეთილებით იკუნეს ტურებს, როგორც ამას მოზრდილი ქალები შვრებიან ხოლმე. შეიძლება კაცმა იფიქროს-ღუნკა თავის თავზე კი არა, ვილაც გარეშეზე ლაპარაკობსო. ბებერი, ღუნკას პურის ნატეხს აძლევს, ღუნკა წათამამდება და ტარანს თხოულობს...

ექვსი წლის შემდეგ ის ბაზარში ცხოვრობს. მიეჩვია ბაზარს, როგორც ეჩვევიან მწოწავი ძაღლები, რომელთაც დრო-გამოშვებით გახრულ ძვალს უგდებენ.

ერთხელ რაღაც მიზეზის გამო ღუნკა მთელი კვირა არ გამოსულა ბაზარში. სხვა დროს ამას ვერ შეამჩნევდენ, ან ყურადღებას არ აქცევდენ, მარა ახლა კი, ერთბაშად თვალში მოხვდა, ყველათვის საგრძნობელი შეიქნა. ხანდისხან ბებრები ეკითხებოდნენ კიდევაც ერთმანეთს:

„სადაა ის ცუდლუტი ღუნკა, რომ არსად სჩანს?“
გავიდა ერთი კვირა და ღუნკაც გამოჩნდა. ჩქარის, მსუბუქის ნაბიჯებით დაუახლოვდა ერთ ბებერთაგანს.

— „გამარჯობა, ბიცოლა!“
— „ა! ღუნკა! სად დაიკარგე, რომ არ სჩანხარ?“

— „ნუ მკითხავთ, ბიცოლა! ისეთი საქმე, ისეთი საქმე დამემართა! ღმერთი დასჯის! ოჰ! საცოდავობაა! ახალი ამბავი, ბიცოლა!“

ღუნკა სერიოზულ გამომეტყველებას იღებს. ბებერს კი სასაცილოდ არ ყოფნის ამ მოზრდილ ბავშვის ყურება.

— „აბა, ღუნკა, შეე ეშმაკო, მოჰყევი, რა ახალი ამბავია?“

— ოჰ, ბიცოლა! რა არ მიქნა ერთმა წყეულმა. სომეხმა! ოჰ-ოჰ, ოჰ! ცოდებში! ბებერმა კისერი წაშოიგძელა.

— „ენახოთ მივდივარ ქუჩაზე,—საიდუმლო ხმით ამბობს ღუნკა,—სომეხი მინასკა დგას კარზე ფორტოჩკასთან და შეძახის, ხელს მიქნევს. იცით მინასკა? დაღრეჯილი, მსხვილ თვალებიანი.—ოჰ ოჰ! რა შეჩვენებულაია!“—საოცრად, დანამდვილებით ხსნის ღუნკა.—„ღუნკა! ა.ღუნკა! შემოდი ჩემთან! საუზმეს გაქმევე! ფორთოხლებს მოვატანივებ!“—მიყვარს ბიცოლა, ძლიერ მიყვარს ტკბი-

ლელულობა და ფორთოხალი, — ნამეტანი! ჰო, კარგი, — ვიფიქრე, — რას დავსდევ! რას მიზამს, რას დამაქლებს — შევალო-მეთქი“. ღუნკას სული უგუბდება, უნდა მეთად საინტერესო რაღაც სთქვას. — „მოვედი თუ არა ოთახში, ხელი ჩამქიდა, დივანზე დამაგდო და...“

ღუნკა პირს აცმაცურებს, თვალებს ატრიალებს და ამგვარათ ათავენს თავის ამბავს. ამით ცხადად ათავენს თავს „ახალ ამბავს“. ასე იქცევიან, ბაზარში, მოზრდილები, როცა მათ რაიმე მოსაზრებით არ უნდათ ერთ გამოსთქვან ის, რაც ყველასთვის ცხადია. ლოყები ენთება ღუნკას. ხედავს რომ მისი ნალაპარაკები არა ერთსა და ორს აინტერესებს და მით უფრო მეტის გაბედულობით და გატაცებით ლაპარაკობს; ღუნკა მოყვება ხოლმე უწყლო წისკვილივით ღრიქინს.

— „მერმე ბიცოლა, ტანისამოსი გამზადა, გამატიტვლა გამატიტვლა! მე ვტირო, ვყვირი... ვემუდარები: გამიშვი დედასთან მეთქი; ის კი მელაპარაკება: რატომ? სულ ერთია, დედაშენი, კუდიანი ბებერი ახლა თვითონ ვინმესთან ეგდება. შენ კი, ჩემო კარგო, იყავი აქ, იძინე ჩემთან! ორი-ორი ღღე დამიქირა თავისთან, სულ ტკბილეულობას მაქმევდა, მესამე ღღეზე ყბაში გამარტყა და შემომძახა: „ახლა კი მიბრძანდი იხეტიალე! შენ ისეთი მოხეტიალე ქუჩის დედაცაი ხარ, როგორც დედა შენია.“ ასე, ბიცოლა, ამნაირი მ...ლოა მინასკა... აი!“

— „საცოდობაა!.. საცოდობაა!..“ დაღონებული ხმით დაასრულა ღუნკამ თავის არაკი.

მინასკაზე ყველამ ერთბაშით დაამტკიცა ის, რაც ღუნკამ სთქვა, ე. ი. რომ მინასკა მ...ია. ღუნკას მდგომარეობას კიდევ ყველამ ერთის თვალთ შეხედა:

— „საბრალო ბავშვი! მათხოვარია, რა საკვირველია!“

— „მათხოვარი ვარ, ბიცოლა, რასაკვირველია, მათხოვარი ვარ, — სხაპა-სხუბით იმეორებდა ღუნკა. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელთაც ღუნკას ჭკუაც დააფასეს.

— ოჰ, ღუნკა! რა ჭკვიანი ბავშვია! როგორ ბეჯითათ ლაპარაკობს, თითქოს დაწერილი და დასწავლილი ჰქონოდეს, როგორ სჭრის და ჰკვეთს! ჭკვიანი გოგო ხარ, ღუნკა, აბა შაურიანი!“

ღუნკა დაიქანცა, მაგრამ ბებრები ჯერ კიდევ არ არიან კმაყოფილნი:

— ოჰო, ღუნკა! მერე? სახლში მიხვედი, — დედამ რა გითხრა?

— მე ვტირი, სულ ვტირი! ყველაფერი მტკიო-

და, ბიცოლა, დედა-პრასკუტა კი მიწყებოდა: სად ეშაქებში იყავი, შე წყეულოვო. მე მოვეუყევი: ასე და ასე იყო — მეთქი — ხელი მომქიდა და ბოქაულთან წამიყვანა. დაუძახეს მინასკას. ეჩურჩულა მინასკა ბოქაულს, ეჩურჩულა და შემდეგ თავის გზით წავიდა. ბოქაულმა კი დედას თუმნიანი აჩუქა. დედამ ნახევარ-მანეთიანი გადმომიგდო და მომძახა: „ჰა, ჰამე, შეჩვენებულო, შენ გქონდეს — რაც კი დაგემართოს...“ თვითონ კი არაყი იყიდა. ორი ღღე სულ იმის სმაში, აგერ-აგერ გასქდება. ღმერთმანი თყუილს არ ვამბობ. აი, რა ამბები მოხდა.“

— „ეჰ, ღუნკა, რა დაღუპული გოგო ხარ!“ ყველა თავ-თავის სახლში წავიდა. ღუნკამ კი ბაზრისკენ გაიარა და აქა-იქ დრო-გამოშვებით ჰაერში ისმოდა მისი მჭრელი ხმა: „ეჰ, ბიცოლა! ტანისამოსი გამზადა! გამატიტვლა! გამატიტვლა!“

ღუნკას ახალი ამბავი მალე დაივიწყეს. ზამთარი დადგა. სცივე ყველას ერეკებოდა ბაზრიდან. დადგა ზაფხული და ღუნკას ისტორიაც აღსდგა. უქმე ღღეებში, — როცა ბაზარი არა მარტო სავაქრო აღვიღს წარმოდგენს, — რამედ ათასნაირ ქორებისა და მითქმა-მოთქმის კლუბსაც, — დედაბრებს ძლიერ მოსწონთ წარმოდგენის მართვა და ყველას აცნობენ ღუნკას ისტორიას.

დღის 10—11 საათზე ვაქრობამ იკლო. პაპანებაა. ბებრები გრილოში დაჯდნენ. ენა გამოყოფილი ძაღლები მაის ახლო სხედან. იქავე არაკი დგას. ტარანი, დამმარებელი კიტრები, ჩაი.

— ჰამეთ, ნათლი-ღედაე!

— ოჰ, ნათლი-მამავ, თითქოს მთვრალი ვარ.

— ეჰ, სადაური მთვრალი. ჭკუა გაქვს და!

— „უკანასკნელად დავღვევ, კიდევ იცოცხლებო.“

— „თქვენცა“.

ბოლოს სალაპარაკო საგანი შემოელიათ და შემოსძახეს:

იხეი ყინულზე მისცურავს

რაკ-რაკ!

მგელიც მისაკენ მიცოცავს

რაკ-რაკ!

ჩვენ თითო რუმეკა მივირთვავ

რაკ-რაკ!

მაგრამ აი, გამოჩნდა ღუნკაც თავის დაფლეთილ ტანსაცმელში.

— ღუნკა! ღუნკა! მოდი გენაცვა... ქირიმე... ღუნკა, — ღუნკა! მოდი აქ, როგორი შენაა!“

როგორც ისარი, ისე მოფრინავს ღუნკა.

— „აბა ღუნკა მოგვიყვი მინასკამ რა გიქნა!“

დუნკა მიხვდა, რომ ამ წუთში ყველასი ყურადღება მისკენ იყო მიქცეული, ამიტომ სერიოზული სახე მიიღო, მიწაზე დაეშვა, ფეხები მოკაკა და დაიწყო:

— მივლივარ ერთხელ ქუჩაზე და მინასკა, — ღმერთმა დასწყევლოს მისი სახელი. — მიძახის: დუნკაკა — დუნკა! მოდი ჩემთან ერთს წუთში...“

დღეობები სმენათ გადაიქცენ.

— ი-ი! — ლაპარაკობს დუნკა გადარეულივით, — გამატიტელა... გამატიტელა!..

და როდესაც დუნკა თავის მოთხრობას ათავებს იმის ფეხებისკენ მოჭფრინავს ტარანი, კიტრი, კონფეტი, შაურიანი ნესვი... დუნკა საჩუქრებს ჰკრებს და ნელის ნაბიჯით მიემართება თავის დედა-პრასკუტკას ქობში. მთელი კვირა ისვენებს და უსაქმოდ ლოლავს ქუჩებში. კვირას კი ბაზარში ისევ გამოჩნდება მისი ხმელ-ხმელი, ლანდივით ტანი და უცდის ძახილს:

— „დუნკა, ა — დუნკა! აბა, მოგვიყვი, რა გიქნა მინასკამ...“

იასამანი.



წყაროს, რაკრაკას.

აქ ჩამოვუდები... მთრთოლვარე თითნო ჩამორეკავენ რწმენით სიმებსა, ავადუდუნებ თარს და თბლ გულს ის სეგდას მოხსნის, ტვირთსა მძიმესა.

შენი რაკრაკი ბანათ მოყვა, გორათა ცეღქო, სიმთა კენესსა, — არივეს ერთად — შენსს და ჩემსს — ჩივიდს ჩაუტან ბობოქარ ზღვას!

და იქ აუხსნი, რომ სადაც ტუეში, სადაც ურთერთში გაბოლან შთები, ადამიანის გესმა ამბაკი, კენესა სულისა, გულის ნადები!

ხელით მოტაცებ ერთს ტადლას! მავრამ მის ადგილას სულ სხვა გახნდება და თქვენს სიმღერას დაკარგულის სმა სრულად ვერ შესცვლის, არ დახნდება!

ჩვენ კი სხვანი ვართ, ადამიანნი: რის ქმისა გუელი შესწევებტს ძეგრასა — ის სრულად გვიცვლის საერთო ღხენას და კენესად ერთვის ჩვენს სიმღერას!

იასამანი.



მესტვირული

(ახალ-სენაკისათვის)

ემმაკო, ყური დაუგდე, თუ რას ვამტერებ სტვირსაო, თუ კარვად ვხატავ, ან რომელს ახალ-სენაკის გვირსაო!

არ კი იფიქრო, ვსტრუობდე, უქმად არ ვიტყვი ძვირსაო: მართალს არ გავკრა მათრახი განა უღირსი სძვირსაო?

სამკითხველოსა ვაარსებთ გადის ჰა, ერთი წელია, მავრამ არ იქნა, არ იქნა, იმედიც გამოგველია.

რა უქირთ! ფული მობოქეს, ჯიბე შეიქნა სქელია, სამკითხველოსი გახსნისთვის არავინ დასძრა ხელია.

ამორჩეული წვერები საქმისთვის ურგებელია! „ჩინოვნიკი“ და ვეკილი ერთი ქალი და მღვდელია. ხუცესი ლოცვას უნდება,

ვეკილს აქვს დასაცველია,
ჩინოვნიკს „პრისუტსტივეში“
ვერ აულია წელია.

მეც ახლა არაფერსა გთხოვ
ერთი მაქვს სანატრელია:
მაჩვენე ზურგი ამათი
მათრასით ანაქრელია,
რომ საქმეს თუ ვერ შესძლებენ
აღარც მოჰკიდონ ხელია.

საქებიცა გეყავს სენაკში
ქალაქის დეპუტატები,
უსაქმოდ დაუიალობენ
როგორც კრილოვის ბატები.

ქონებში ღამით ვერ გახვალ,
თუნდ წინ გიძლოდეს ხატები,
ბნელაში კისერს მოიტებ,
ან სადმე გადაეარდები.

ახალ სენაკი გთხოვს ძმაო,
განსაჯო ეგ ოსტატები
და ჯილდოთ ყველას მიუძღვნა
თითო დამხრჩვალი კატები.

სკოლის ამბავსაც მოეყვები,
გასიამოვნებთ ყველასა:
ჩენი სპირიტონ არ ზოგავს
ცნობილსა „მეთოდს“ ძველასა.

ზაფხულის სიციხე ნაკრავი,
მოწაფეთ აძლევს „შველასა“,
„პროგრამას“ გადი-გამოდის
ამეცნიერებს ყველასა.

მის სწავლას თავი ბუს უგავს,
კული კი ცბიერ მელასა,
არ ვიცი, თვით რას მოელის:
„ორდენს“ თუ „სახრჩობელასა“.

აწ საკმაოა რაცა ვსთქვი,
გული მიწევი შევბასა,
რა რომ მოეყვები თავიდან
სენაკის გმირთა ქებასა.

ვუსურვებ შენსა მათრასსა
მათ ზურგთან შეთანხმებასა
და თუ რამ გკადრონ, მე ვიყო
ყოველ პასუხის გებასა.

თანაც გთხოვ, ჩემო ეშმაკო,
ბედკრული განაწირია,
როცა დამპირდეს, მათხოვე,
ეგ შენი გულა სტვირია!..

ფაჩუ.

ბინის მამიძეული.

შემიჯდა რაღაც ეშმაკი და ქაჯი, ქე ვიყავი ჩემთვის
ხატისნათ, სოფელში ერთი უასისი ვერ მჯობდა, ჩემი
უნა და ბახხა მქონდა არც ბატონი მუაფა და არც უმაი,
თუ რამეს მომეტემა დემრთი მეც სულს ვიზურებდა და
ცოლქვილიც შადარი მუაფა. შემიჯდა, ბატონო, ეშმაკი
და აღარ მომასვენა, სხანაში თუილის ქალაქში არ ჩამო-
ვედი. „წამწემინდა წახედულობამ“-ო იმისი არ იოას, დე-
ვინახე ქალაქში ნამყოფი ჩემი მეზობლები, კაი აცვიათ,
კას ჭამენ და სვამენ და ფულებიც ჩეჩქივით აქთ, გული
ამიერენდრუკდა და გამიწრა დემრთი ქალს ვუთხარი კაი
იქნება თუილის ქალაქს, რომ წვეიდე, ალაგს ვიშინი და
მერე თქვენც წავიყვან მეთქი. ის დღე იყო და მერე აღარ
გამინარია, ვკამდი, თუ ვსვამდი, ვიჭკეპი, თუ ვიდექი,
სულ მუდამ იმას ჩამჩინებდა წადი და წადი თუი-
ლისშიო. არ მოისვენა მანამდი სხანა გულა ნახადი არ
ევიკარი და არ ჩამოვედი თუილისში. წამოსვლის დროს
ათასჯერ კი დაშობარა როგორც ახვიდე დადექი ადგილზე
და გამოგვიწერეო.. ჩამოვედი თუილისში და შირდაშირ
ტავარის სტანტის მივამურე. იქ ჩემი მეზობლები მე-
გულეობდა. ძალიან გავსურდათ ჩემი ნახვა, დატრიალდენ
და ორ დღეში კაი გვარანია ადგილი მომჩქენენ ხელში.
ჩამინიხეს უარულათ. დღეი ქე შეძინა არხენათ ჩემი მე-
ზობლის ოთახში, დამე გვევიდოდი და დავსეირნობდი ვაგო-
ნებ შუა. ვიოიქრე თუ ამის შეტვი აფერი უნდა სიარული
მე შიოთხონ მეთქი. გვეიხედე ერთ დამეს და რას ვხედავ.
მიმდგარან ბიჭები ერთ ვატონთან და რა გინდა სულთ და
გულთ, გამოაქეთ. წამძღაი სულმა და ვკითხე სად მივქეთ
ავი საქოელი მეთქი. სად მივქაქვს და შინაო. თუ გინ-
და შენც ასე ქევიო მხოლთდ არ დავიჭირონ, თორემ
ჩვენ გადაგვანთიებენო. იცოცხლეთ გამეხარდა. მუარე
დამეს ვიხელეთ დრო თუ არა შევექვეერი ერთ ვატონს,
ვიჭურწე და ვძურწე. რა გინდა სულთ და გულთ, რომ არ
გამოვანთიე. ერთ ვერიეს კაი ძალი საქონელი შევიძინე,
ფარხა გინდა, სხანელი გინდა, თუ რა გინდა მე რომ არ
მქონდა. გავიდა ერთი თვე, მარა ვაი ამისთანა უოფხას.
ზარბაზნის ტუფია ვერ მიქდა იმდენს, რაც ქალის წერი-
ლებმა მიქნა, მომზარა კობივით წერილები „გამომი-
წერე და გამომიწერეო.“ თუ არ გამომიწერ დე-
წვავ უორიფელს და გვეიქვეიო. აბა ამისთანა სირ-
ცხვილს ვინ გაუძლებდა ავდექი და გამოვიწერე, დავსთი
მუარე დღეს სტანტისზე. შევიდა მარა რა შევიდა. შტონი
მთელი ჰოქხდი მას დავიჭირა. ჭარგვალის მეტი უორი-
ფელი თან წამიდეო. კერიეც კი არ დავიწებოდა. მივა-
სიე ნასილხიებუი და რავარც იქნა ცადმოვალატეო. მთელი
სტანტია ეიშო, აგერ რვაი ბაღანაი, ქალი ბარგი-ბარ-
ხანა. გასაქანი აღარ იყო სტანტისში. დასწვევლას დემრ-
თიმა ჭუჭულებიც კი წამიყვანა ბუდიანა, გოჭი, ქათამი
შეიქნა ჭვეირილი, კრახი, სირცხვილით თლათ დევიწვი

მოგარდენ ჯანდრები და გვიკვირეს ვიფიქრე თუ არ გავმორდი ზოლიცაში წაგვართვეს მეთქი. შევეკვივე სისილიჩებს და ტავარნი სტანციის ეზოში გადაგვალაგეს მოსახზე ცარიელი ადგილი და დავლაგდით. დავტოვე ვეკლანი იქა და წავედი ოთახის საძებნელათ. ტანსუ ქე ვიკავი გვარანათ ჩანმული. მივადექი ერ „სახლს შევედი შიგ და ვიკითხე ოთახი. მითხრეს ორი ოთახი გვაქვსო. გამოვიდა ვინცნა ზვისივით ქალი, ამხედ დამხედა და მკითხა:

- ოთახი გინდა?
- დიან მეთქი ვუშასხუე.
- ხოლოსტოი ხარო?
- ხოლოსტოი ვარ აბა თოფი ხომ არ ვარ გატყენილი ვიღო მეთქი. გაუცინა. არა, ცოლი თუ გვაყვსო?
- რაგა არა ცოლი მუჟს, მარა რათ გინდათ ამის გაკება, მე ოთახი მინდა მეთქი.
- შეიღებო გვაყვსო?
- კი მეთქი
- რამდენიო?
- ჯერ ცოტა მუჟს, ბარე რვაი მეთქი.

იმისთანა შენს მტერს, იმან თვალები დახრწა, აბა არ გაგაწერეს ღმერთი, რომ მიიხლო ფეხი არამც და არამც აღარ ქნა ოთახის მოჭირავება. რვაი სული ბადანია სულ ეიკლებენ ჩემს ოჯახს, ეშპაკი ბადნები მიძულსო. არ ქნა და არა. რადან ვიზამდი წვევილი სხვაგან. მივადექი მეორე სახლს. გამოვიდა ვინცნა დედაბერი. ვკითხე ოთახი. იმანც მამინვე მკითხა ცოლი თუ თუ გვაყვსო. კი მეთქი. შეიღებო? კი მეთქი რვაი ბადანია მუჟს მეთქი. იმანც შიშით თვალები დახრწა. რაგა შინებოთ ბადნების ამ თოფილის ქალაქში გასაკვირია. იმანც უარი მტკიცა ბადნები ეშპაკები იქნებინაო. მე დავარწმუნე ერთ სიტყვასაც არ იტყვიან წესარი ბადნებოა მეთქი. ბადნები ცუდექები უნდა იყვნენ, აღბათ შენი ბადნები ავთამეთები ეოჯილან და არას გზით არ შემოიღიან ავთამეთები ბადნების სახლში შემოშეებო. ვიფიქრე ჯერ არც ერთი ავთ არ გასხლარა მეთქი, მარა ვინ დავიკვირა. შეუკურთხე ერთი და გავსწიე. დიდი ძებნის შემდეგ მივადექი ერთს სახლს. გზასუ გადავწვივეტი მეთქვა უცოლო ვარ მეთქი. დევიქირაგებდი ოთახს. მერე მივადტობდი ჩემი ჯარით და რამდენინც უნდა ევიკრა უკან აღარ წამოვიდოდი. კარებში გვიზიანი სომუხნი დამხედა. „ინჩეო“ ინჩე კი არა ოთახი მეთქი. ცოლიო? არა ცოლი მეთქი. გასწი, გასწი ძმაო ხათას არ გადამეარა, ხოლოსტოის ჩემს სახლში ვერ შემოეშეებო. სოლონი მეთქი მივასახე და გავბრუნდი. რა უბედურობაა. ერთმა ცუდექი ბადნები გვაყვს და ვერ მოგაჭირავებო, მეორემ ავთამეთები ბადნები გვაყვს, რადგან ცუდექები არ არიანო, მესამემ ცოლიანი უნდა იყავო, ძალიანი გულმოსული ვიკავი, მარა წავედი კიდევ საძებნელათ. ჩამოვკარი ზარი ერთ დიდ სახლთან. გამოვი-

და ვიღაც კაცი ეტობოდა ვაჭარი უნდა ეოფილიყო და მინახა თუ არა ხეცა დაქინია, არ შემოხვიდე ოთახს არ მოგვემო. ბიჭოს მაქედან რომ ევირა ჯერ გაიკე ვინც ვარ და მარე თქვი მეთქი. რაგა „მომაყვალის“ რედაქცია ხომ არ გკონივარ ასე რომ შემინდი მეთქი. ვასხევე თუ არა „მომაყვალი“ იმისთანა შენს მტერს, მოიშეღებო ქედი და მოკურცხლა, შევარდა ოთახში და კარები შეიკეტა. შემსკდა სიცილი. ზარბაზნის ტუფია ვერ შეაშინებდა მტონი ისე, როგორც „მომაყვალი“-ს სხენებამ უქნა. გასწიე ქვემოთ. ბეგრი ვიფიქრე გზასუ რა მოვაკონო ისეთი, რომ ოთახი მომაჭირავებო მეთქი, მარა ვერაფერი მოვიგონე. შევედი ერთ სახლში. გამოვიდა დამაზი, კომპია ქალი. ოთახი მეთქი. კბილები რამდენი გვაქვსო. ბიჭოს კბილებს მისინჯავ, რაგა ცხენი ხომ არ ვარ მეთქი. აბა, მე არ მომწონს კბილ ნაკლები კაციო. არა მე ოთახი კბილი მკლავი მეთქი. ვერ მოგაჭირავებო ოთახსო. რადან ვიზამდი დავწვივედე და წავედი. გადავსწვივეტი ერთს კბიდე ვინახე და თუ უარი მითხრეს მერე მე ვიცი მეთქი. მივადექი სახლს. არაგინ გამოვიდა. ვიკადრე შით შესვლა. იმედი მომეტა აქ კი მომაჭირავებენ მეთქი. ოთახში კრესლოში ჩავარებული ქალი დავინახე. თავი დავკარი ხმა არ გამცა. ზატარა თვალებით მომაშტერდა. ოთახი მეთქი, შენ ცხვირი ცოტათი მონგრეული გვაქვსო, მე არ მომწონს ცხვირ მონგრეული კაციო. ვერ მოგვემო ოთახსო. მომივიდა ბრაზი და იმდენი ვლანძღე, რომ რაც ჯავრი მჭირდა ეველა იმაზე ვეფარე. გამოვიშვი გარეთ და გავიქეტი ტავარნი სტანციისკენ. ქალი და ბადნები შიმშილით ზირს დაბავდენ. ვიფიქრე სასწამელი გამოვიადდე ეველა კარგათ და თუმცა დედაკაცმა ბეგრი ივიკრა, მარა მოგხვიე ხელი ეველას ჩავურე ვეკანში და გავუდექი ჩემი სოფლისკენ. თურმე თოფილისში სახლიც უნდა თან წამეიღოს ვისაც აქ ცხოვრება უნდა. თუ მე აწი აქეთ ზირი ვქნა, სულ დედამა მაგინონ სახლის ზატრონებმა.

ტუკი.

მ ო ძ მ მ ს .

ძმავ!.. ბეჩავო,
საცოდავო,
რის შესრივი შევბედს ტიალს;
იგი ყრუო,
უპიროა,
არ ისმენს მწარ-კრემლოთა წყრილის.

* *
დოჰმე კრემლო, შეიჩვენე
უკულმართი ბედის წერა
შორს. . შორს, მოთქმე, გლოვის ზარი,
და ლანრული გულის ძგერა.
* *

...არ შეუკრთე ბოროტებას,
უმეცრების უმგ ხას ღრიალს;
მამაცურათ შეეგებე-
ცხოვრების ზღვის
ზვირთთა ტრიალს. გ. ქუჩიშვილი.

ფ. მ. თ. ი.

კამარილია და იუპიტერი.

თუ მაღალ სანოვნიკებისთვის საქირაა „კამარილია“ — ზევითა და ქვევითა პალატები, რა დაუშავებია ბაყაყეთს, ანეთ დიად სამრეწვილო ცენტრს (როგორც ბაყაყეთია) სიოცხელია კამარილია არ ყავდეს, ეგ, რა თქვა უნდა, სულ ერთია მამლაყინწები იქნებიან შიგ თუ ჩასუქებული ინდაურები. და აი მაშინ, როცა ბაყაყეთს საქალბო და საეაყო გიმნაზიები არგუნენ, ამ დღიდან ჩაისახა კამარილია, კამარილია რომელმაც თავის ხელში ჩაიგდო სასწავლებლების ბედ-იღბალი. არც ერთი მასწავლებელი, არც ერთი მოსწავლე იქნება „კეთილსიმედოთა რიცხვში“ ჩარიცხული, თუ კამარილიას დალი არ ექნება შუბლზე დაკრული. ვინაა კამარილის წევრები? წევრები ბლომათაა სთავალავად, მხოლოდ რეალობაში (გ. რ. რობაქიძის ტერმინოლოგიით რომ ვსთქვათ) 4—5 „პატივცემული გვამი“. მხოლოდ არის ერთი დიდი ვინმე ქ-ნი „მანი“, რომელშიაც მომწყვდიულია მთელი „სოვეტი“. ქ-ნი „მანი“ არაა ერთეულში მომწყვდიული, ის ბაყაყეთის სფეროში შლილია. მას ძლიერ უყვარს წერა-კითხვის არ მცოდნე მოხუცი „ანა სტაკანოვანა“, რომელსაც „ნაჩლიციობაც“ კი არგუნა, თუმც ცოდნით და დიპლომით მას უბრალო „კლასნიდამობასაც“ არ მიაშავებენ. თუ არსებობს რეალობაში „ბუნებრივი შესამება“, — ზნეობაში არსებობენ მამლები და ინდაურები. ისიც პატივმოყვარე, უხვად ასაჩუქრებს კლავიორ მებოტბეთ. ქ-ნი „მანის“ ძლიერ კარგი მეგობარია ცნობილი „დურმიშხანი“ ევდაკია რომანის ასული კოტუროვი. (თქვენც იცნობთ მკითხველო, მგონი, თუ ვინ ბრძანდება ევდაკია რომანოვანა — სამოქალაქო სასწავლებლის გამირი, რომელმაც გასულ წელს უხვად გზავნა დურმიშხანული ოლქის მზრუნველთან). ქ-ნი „მანს“ სხვაც ბევრი ყავს მეგობრები, მაგრამ მის ბრძლის თვალთა „ზენიტში“ გასაკუთრებული ადგილი დაიჭირა ფრიად „განათლებულმა“, ფრიად მოსულმა ფრიად ახოვანმა და კეკლუცთა მოყვარულმა, პირმა ბაყაყეთში „იუპიტერად“ წოდებულმა „იაგუშამ“ (ეს ქათინაურია, რომლითაც მას ხშირად ქ-ნი „მანი“ მიზართავს ხოლომე). იაგუშას სასწავლებლის უფროს, ფილოსოფოსადაც მოაქვს თავი და გასულ წელს ერთი ლექციაც წაიკითხა ასეთ თემაზე, მაგრამ

„ფრასკა“ მიიღო შედეგათ მცოდნეთა თვალში. მისი ფილოსოფია — „ფილოსოფიურ ქრესტომატიკებიდან (Одесское издание) ამოღებული ფრაზებია და დიდათ არ განირჩევა ლიონელ ფილოსოფ. კ. ქანტურ-ფილოსოფიიდან. „იაგუშამ“, ბაყაყეთის „იუპიტერმა“ (დიდ იუპიტერ ნიკოს ბუშია) ბევრ მოწაყვს მოუზილა გვერდი, ბევრ მშობლებს აღინათვალთ ცრემლი, როგორც ძლიერმა ამა ქვეყნიისამ და ყოველივე ეს „პასივიზი“ არ ჩაეწერა, რადგან მას „კამარილიას“ დედამთავარი ქ-ნი „მანი“ სწყალობს და თვით „იაგუშასაც“ მრავალი მებოტბენი. წრეტულს საქალბო ღმნაზიაში მოუსავლიანი წელი იყო. მკითხველმა უწყის თუ რაშია საქამე თითქმის ყველა მოზდილ მოწაყვს ნ-ები ორებათ ექცათ. „მშობელთა წრე“ გაწყრა. იუპიტერმა იუკადრისა და გაჩაღდა ბრძოლა. შედეგი მეტად სამწუხარო. ოლქის მზრუნველმა ცნობები შეკრიბა „იაგუშაზე“ და მას ცუდ დღეს დააყენებდენ, მაგრამ „კამარილია“ ფეხზე დადგა და „იაგუშა“ ბოროტ ძალეზიდან დაზღვეულ იქნა. „იაგუშა“-მ გაიმარჯვა. სამაგეროთ შეაბრუნენ კები და „იუპიტერმა“ ფრთა გაშალა. საუკეთესო მასწავლებელი დ. ჯ. — კია გადაყვანილ იქნა. მასწავლებელი ბეკი დათხოვილი. დ. ჯ. — კია თავიდან ოპოზიაში უდგა თვითმყრობელ „იაგუშას“ და მის დესპოტურ წინადადებას არ ეთანხმებოდა. ამასთან დ. ჯ. — კიამ მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინა. მაღამ „მანის“ ყურადღება არ დაიმსახურა, რადგან ვიზიტები არ გაუკეთა. ბეკი, (ეს სონინიზმის მასწავლებელი როგორც პუბლიცისტმა ზარატუსტარამ უწოდა Бат. Нов.) გააგდენ, მაგრამ, იწყო მან იუპიტერისა და „მონის“ წინაშე ხოხვა და მიეაღერსენ ახოვან კავალერს და ისევ მიიღენ. გააგდენ — სუსტათ სწავლებისთვის (თუმც არშიყობას კარგად ასწავლის) და არა ოპოზიციონობისათვის. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მებოტბენი იაგუშასი ყალბ ცნობებს აწვდიან გაზეთს და ცილს სწამებენ დ. ჯ. — კიას თითქო ის „დურმიშხანულით“ წასულიყოს ოლქის მზრუნველთან. ვისაც თვალნი ხედვად აქვს და ყური სმენად, ვისაც სკოლის საქმე მშვენივრად იცის, თუ რაშია საქმე. „იაგუშა“ კარგად სეირნობს, ფოთელების ზურგზე მისი მებოტბე — კლავიორთა წყალობით და კარგ ხანსაც ისეირნებს, სანამ „კამარილია“ ზურგს უმაგრებს. იუპიტერი და კამარილია, აი ვინ ვანაგებს მოსწავლე-მასწავლებელთა ბედ-იღბალს. აი ვინ ყეფენ „უძალო ქვეყანაში“. დროგამომგებით ჩვენ ფაქტებს ავალაპარაკებთ ამა გამირთა მოქმედებაზე. ეხლა კი, ნახვამდის.

ვოლდემარ.



ნაჩუქი უშვანოსაძე

მაგიერ მიიღებს მისი, შუკაცრავათ პასუხია, პომო-
შნიკი. ახლად გამომცხვარი დობტური სტოროკე-
ძე, დილის 5 საათიდან, შუალამის 12 საათამდე
კარებზე ნახვით ატუზულს. იაქე.

დ. სამტრედია. სრულიად მოულოდნელათ
სამტრედიელებს მოველინა ბ-ნი ექიმი ფშუკ-პარას-
კევაძე და დაარსა კერძო უნივერსიტეტი სადაც
ლექტორებათ მოწვეული ჰყავს: ორი აფთაიქის
მალაზიის პატრონი, დობტურ-აკუშორი ნესტორი
როტაში განვითარებული დობტურ მღვდელთა კი
პროვიზორი, ეს უკანასკნელი კი სისტემატიურათ
იკითხავს ლექციებს; პირველათ ის წაიკითხავს შემ-
დგ თემაზე: როგორ უნდა მოეწყოს ხალხის და-
ბრმავების და გაცუყვების საქმე წამლების გაპრად-
ლებაში, რომ ბევრი შრომით არ დაიქანცონ და
არ შეიყაბა არ შეფერხდეს, როგორ უშველონ თავს
თუ გარეთ სახმარი წამალი შეცთომით წარწერის
გამო დალიონ ავთამყოფებმა; როგორ უნდა შეაპ-
რონ გამოწერილი წამლის მაგიერ სხვა წამალი, თუ
ნამდვილი არ დარჩა აფთაიქში და როგორ მოთა-
ფლონ ექიმები, რომ ყოველ მათ ჩადენილ შეცდო-
მა-სიყალობეზე ხმა არ ამოიღონ და სხვა...

უნივერსიტეტში ჯერ-ჯერობით თვით დირექ-
ტორმა მიიღო ერთი დელიკანდი მეხუთე კურსზე
და რადგან ჯერ მარტო ერთი ფაკულტეტი, ე. ი
მედიცინის, მარტო თვითონ ასწავლის შინაურუ-
ლათ, ამ მოსწავლემ საარაკო ნიქი გამოიჩინა. ასე
რომ მალე ყველა ხირურგებს გააფასებს და საკუ-
თარ ბოლნიცასაც გახსნის.

მას სწავლა მიუღია ქალაქ ლს ბოლნიცის
სტოროკეთ ყოფნის დროს და შემდეგ აქეთ საპაე-
როთ წამოსულა, სადაც შეტყრია ექიმ ფშუკს, რო-
მელსაც დაუნახავს რა მისი საუკხოვო სახლპარო
ნიქი, მიუღია თავის უნივერსიტეტში მეხუთე კურ-
სზე. უნივერსიტეტში მეცადინეობა დაწყებულია
და დირექტორი ლებულობს მხოლოდ შემდეგ პი-
რებს: სტოროკე-ნასტოროკელთ, არღანჩიკ უსაქმის-
ტებს და ყველა მაგარი შუბლის პატრონთ, ვინც
კი შესძლებს ამ უნივერსიტეტში სწავლის მიღებას.
თხოვნებს ლებულობს შემდეგი ადრესით: ხონის
ქუჩა, თეთრათ შელესილი სახლი, დირექტორს
ფშუკ-პარასკევაძეს და თუ თვითონ არ იქმნა, მის

თფილისი. ძმაო ეშმაკო! ვგონებ მიხაილოვის
სამკურნალოში თქვენ ჯერ არ შესულხართ, და არ
გინახავთ ყველა ის, რაც იქ ხდება. მწვავე მათრა-
ხის ღირსნი სწორეთ აქ არიან. „სამკურნალოს“
იმიტომ ჰქვია სამკურნალო, რომ იქ ავთამყოფებს
უნდა კურნავდენ. მაგისი რა მოგახსენოთ და ნარ-
დის თამაშს კი კვი გასავალი აქვს. სად მოიცილიან
ბ. ექიმები საექიმოთ როდესაც გახურებული
თამაში აქვთ და კამათობის რახი-რუხით თა-
ვბრუ დასხმული არიან. ექიმები ნარდს თამაშო-
ბენ და ავთამყოფები კი ყრიან ღუთის ანაბარა. სამ-
კურნალოს უფროსი ბ. გურკო არავითარ ყურად-
ღებას არ აქცევს, თუ რა ხდება მის სამკურნალო-
ში, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ უმგზავსო სა-
ქციელს ადგილი არ ექნებოდა. საქიროა ექიმების
მათრახით შეხურება, რომ სათამაშოთ ყავახანაში
წავიდენ ხოლმე. კალე.

ჩაქვი. აქაც საქიროება მოითხოვს ბ. ეშმაკო
თქვენს ჩამობრძანებას თქვენის მათრახით. ჩამოს-
ვლისთანავე ესტუმრები ალექსანდრე ენუქიძეს ნე-
კრასოვის მებაღეს და მიკიტანს ვანიჩკა ბარათა-
შვილს. ეს ორი ვაჟბატონი კარტ-ნარდის თამაშში
ძლიერ გართულ-გაწაფულნი არიან. კარტისა და
ნარდის თამაშის მეტი არა ახსოვთ რა. უფრო
კარტს ეტანებიან, რადგანაც ჯიბით ადვილი სატა-
რებელია. კარტის სათამაშოთ თავს იყრიან ნეკრა-
სოვის დაჩაშა, იქიდან გამოუარეთ ხარაზს გიორგი
კომაიას და თუ თავის დუქანში არ დაგიხედებთ,
იქვე გვერდზე ბარათაშვილის სამიკიტროში იქნება
არაყისა და ღვინის სასმელათ და რამდენიმე მათ-
რახი უცხუნეთ, რომ დაანებოს თავი ლოთობას და
იაუს ძახილს.

ნურც იპოლიტე ოროკაძეს დასტოვებთ უმა-
თრახოთ, მის სადალაქოში ბევრი რამ სამათრახო
ხდება.

ღარიბი,

სიღნაღი. აქაური სასტუმრო უფრო ბოსელს წააგავს ვიდრე სასტუმროს. სიღნაღი მით არის შესანიშნავი, რომ ქუჩებში და ბაღში მოსეირნების მაგივრათ დადიან დიდ-ყურა ცხოველები, რომლებიც დილა აღრიან თავიანთი სირინოზის ხვით ატკობენ მცხოვრებთ. ნაცნობი ვერავინა ვნახე, გარდა ქიზიყის განმანათლებელ მოძღვარ, მეთვალეყურე, შამა დავითისა. ის ჩამდგარიყო მასწავლებელთა შორის და უმღერდა: „განკურნეთ ხალხი ყრვლისაგან ავისა სენისა და თქვენ მიიღებთ სასყიდელსა ოცსა ქანქარასა? მესიამოვნა სწორეთ მისი საგალობელი. გავეშურე უპრაფაში“. შიგნით არ შემიშვეს, მითხრეს: „სიღნაღის თავზე დღეს სხვა თავი ამყენ და ნამყენი გახმა, მხოლოდ ძველმა თავმა ასი ქანქარი მოისხა თვეშიო, რის გამოც უგოლია“ კოტა ცუდათ შეიქმნა და ამიტომ მისი ნახვა ექიმებისგან აკრძალულიაო? იქიდან აუარ-ჩაუარე ბახარს. ერთ დუქნის წინ გაბერილ, ფართუკ ფეხრებულ ადამიანის გვაშს მოვკარი თვალი, რომელიც ლანძღავდა ამვლელ ჩამვლელს ვთქვი იქნება ტელეგრაფით თელავიდან ილიკომ შეატყობინა, რომ ეს სწერამს გაზეთებშიო. გაიშქდა გული და გამოვისწიე მალაკნის დილიტის საძებნელათ.

დ. შებოლი.

მუხაყრუას საზოგადოება. ძმად ეშმაკო! მოგვაქციეთ ყურადღება, თორემ ლამის არის მამასახლისმა და მწერალმა სულ ერთიანათ გაგვხრან. აქაო და ეშმაკიკ ჩვენ ვართ და ყველაფერო და ისე დაეჩვენე ქანქარის ყლინწვას, რომ აღარაფერს აღარ ერიდებიან ვანც უნდა ყოს. გამარჯობა, რომ უთხრას ქანქარი უნდა მოსთხოვონ. თქვენი მათრახი მეტათ საჭიროა და მოგვეშველეთ.

მუხაყრუელი ვარლამ.

სად. მუხიანი. გუშინ მუხიანში მოხდა კრება, ეგრეთ წოდებული „მუხიანის რაიონის არღანზე მოქიფეთა ჯგუფისა“ კრებას თავმჯდომარეობდა მუხიანის რაიონში ცნობილი არღანზე მოქიფეთა შოშია ფუთურიძე. თავმჯდომარემ პირველათ სიტყვის ნება აღვილობრივ მიკიტანს ყარამან ჯაოხაძეს მისცა, ყარამანმა შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას: „ძმებო და აფხანიკებო, როგორც კარგად მოგვხსენებათ მაზრის უფროსმა, როგორც თქვენ ახალგაზდები, არღანზე უფროს მოგაკლოთ დიდის სიმწარით, აგრეთვე ჩვენც აღვილობრივ მიკიტანებს წინადადება მოგვცა, თუ ჩვენ ძმებო მიკიტანები თქვენ არღნით დუქანში შემოვიშვებთ, სასჯელს გვიქადის. ეს გარემოება დიდათ საზარალოა როგორც ჩვენთვის ისე თქვენთვის ამიტომ წინადადება შემომამქვს გაუგზავნით თხოვნა მაზრის უფროსს; რადგანაც დუქნებში არღნის დაკერის ნებას არ გვაძლევთ, კეთილ ინებებთ და ნება მოგვეცით არღნები დუქნის სახურავებზე ავიტანოთ და ისე ვიქიფეთოთქვა, და საჩამ თხოვნას დავწერდეთ სა-

ჭიროთ მიმანჩია ვცადოთ, სასიამოვნო იქნება თუ არა სახურავზე ქიფი? ახალგაზრდობამ ორატორია ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა, და მურას ძახლით მოედვენ სახურავებს არღნებით და ღვიწით სავსე ბოთლებით: უკვე დარწმუნდენ, რომ დუქნის სახურავზე უფრო სასიამოვნო ყოფილა ქიფი ვიდრე დუქანში. თხოვნის გაგზავნას დღე დღეზე ეპირებიან.

დესპოტი.

მათრახის ფოსტა.

თფილისი. დამწერს. თქვენ გვთხოვთ: „ნება მომეცით, ჩემი აზრი გამოვსთქვა თქვენს გაზეთში“. სიამოვნებით გაძლევთ ამის ნებას, მაგრამ მიღებულ წერილში არავითარი აზრი არ აღმოჩნდა. სცადეთ მეორის დაწერა.

კულაში. ს. კულაშელს. თქვენი ლექსი „ჩემს სატრფოს“ არ დაიბეჭდება, ეს იმ მოსზრებით, რომ თქვენმა სატრფომ არ წაიკითხოს და დარდით კეუიდან არ შეიშალოს.

სადაც. პოლისინეს ნათლულს. პოლისინეს თამამათ შეუძლია სთქვას: „ვერავფერი პოეტი ყოფილა ჩემი ნათლული“.

სადმე. ხუნჯალოვერს. აზრი საიდან უნდა გვენახა თქვენს ლექსში, როცა სახელისა და გვარის მოწერაც დავიწყნიათ. თქვენ მყუდრო ცხოვრება გეპიერებათ.

სადმე. საგანს. თქვენი „უმეტების ნაყოფი“ ძლიერ გრძელი და ჩვენი ჟურნალისათვის შეუფერებელი ნაწარმოებია.

საბილაო. კიკუს. მეორეთ რომ შეცდომაში არ შეხვიდეთ, ნუ ენდობთ თქვენს ნაცნობებს, და ჩვენ სიტყვას გაძლევთ, არასოდეს აღარ ვენდოთ თქვენს ცნობებს.

დ. შვირილა. პოლისინეს ნათლულს. მართალია თქვენს წერილს ვერ ვებეჭდვთ, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ. ის ხუცესი, რომელსაც ეშმაკათ გადაქცევა მოუწოდომებია და ანაფორა გაუფენია, თუ ხშირათ გამოუდგება ველოსიპედს, ან ეშმაკათ გადაქცევა და ან კისერს დაიმტვრევს სადმე.

იუმიორისტულ ჰუმორისტული, ეოკვლე-კვირული, სურბთებინანი ქურსნაღი

„მათრახი და სალაპურნი“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით— 2 მან. 50 კ., ერთი თვით— 50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებული ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალაპურის“ აღმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე— 10 კ. დროებითი რედაქციის ადრესი: Тифლისь, Типография Т-ва «Шрома» Василию Болквадзе.